საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №17

ქ. ბათუმი 14 თებერვალი, 2018 წ.

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შევიდეს ცვლილებები და დამატებები „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების №1 დანართში, კერძოდ:

ა) მე-13 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. საგნის ლექტორი სტუდენტთა საგამოცდო ნამუშევრებს ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით ასწორებს და შეფასებებს აცნობებს მათ შემდეგ ვადებში:

ა) 1-დან 25- მდე სტუდენტის შემთხვევაში – 2 დღეში;
ბ) 25-დან 50-მდე სტუდენტის შემთხვევაში – 3 დღეში;
გ) 50-დან 70-მდე სტუდენტის შემთხვევაში – 4 დღეში;
დ) 70-ზე მეტი სტუდენტის შემთხვევაში – 5 დღეში.“;

ბ) მე-14 მუხლის მე-7 პუნქტის ა[1] ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა[1)] განაცხადი წარდგენილ ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ - მიზნად ისახავს წარდგენილი ნაშრომის დაცვას პლაგიატისაგან. ნაშრომის ავტორის განაცხადი უნდა განთავსდეს ცალკე ფურცელზე (სასურველია შემდეგი შინაარსის ტექსტის გამოყენება:

„როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ

აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად .“ (განაცხადის ტექსტის ქვემოთ უნდა მიეთითოს ავტორის სახელი, გვარი, ხელმოწერა და თარიღი).

გ) მე-14 მუხლის მე-7 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ) ანოტაცია - წარმოადგენს ნაშრომის მოკლე შინაარსს, ამასთან, დამოუკიდებელი ტექსტობრივი ერთეულია, რომელსაც აქვს თავისი შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა. ანოტაციაში უნდა იყოს აღწერილი: ნაშრომის საკვლევი თემა და საკითხები, კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები და შედეგების მნიშვნელობა. როგორც წესი, ანოტაციის ტექსტში წყაროების ციტირება არ არის გათვალისწინებული, მასში ასევე არ გამოიყენება ცხრილები, გრაფიკები და სხვა თვალსაჩინოებები. ანოტაცია არ უნდა აღემატებოდეს 150 სიტყვას. იგი უნდა დაერთოს ნაშრომს ქართულ და ინგლისურ ენებზე“.

დ) მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებული იქნეს.

2. დადგენილება დაეგზავნოს უნივერსიტეტის ძირითად სტრუქტურულ ერთეულებსა და მართვის ორგანოებს და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე (კოდიფიცირებული ვერსია განთავსდეს ველებში ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“ და ,,სტუდენტის გზამკვლევი“).

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**